საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-821

27/08/2019

ქ. თბილისი

„შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის №2-812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2019 წლის 25 ივლისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ და შპს „სიგმატიქსმა“. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა შპს „სიგმატიქსზე“ სარკოფაგის მოწყობის ნაწილში და ამ უკანასკნელმა კი ამ გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2012 წლის 20 მარტს გაცემულია №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამავე საქმიანობაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მომართვის საფუძველზე გაიცა №2-777 (19.09.2018) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის №2-812 ბრძანებით შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცა შპს „სიგმატიქსს“ ნავთობშლამების ინსინერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის ნაწილში. განისაზღვრა ორივე კომპანიის ვალდებულებები. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ვალდებულებად დარჩა საწარმოში წარმოქმნილი ნავთობშლამების ახალი მოცულობების განთავსებისთვის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდისთვის განკუთვნილი და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაცია, მათ შორის 1000 $მ^3$ მოცულობის რკინაბეტონის სარკოფაგის მოწყობა.

2019 წლის 25 ივლისს სამინისტროში წარმოდგენილი წერილის თანახმად, სარკოფაგის მოწყობის ვალდებულების შპს „ბათუმის ნავთობტერმინალისთვის“ დატოვება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ შპს „სიგმატიქსის“ მიერ იჯარით აღებული ტერიტორია არ იყო საკმარისი სარკოფაგის მოსაწყობად. კომპანიებს შორის გაფორმებული იჯარის ახალი ხელშეკრულების შემდეგ, შპს „სიგმატიქსს“ მიეცა შესაძლებლობა, მოაწყოს სარკოფაგი ნავთობშლამების ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენის-ნაცრის განთავსების მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული სარკოფაგი უშუალოდაა დაკავშირებული ინსინერატორის ექსპლუატაციის პროცესთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის № 2-812 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცეს შპს „სიგმატიქსს“ ნავთობშლამების ინსინერატორის და ნაცრისთვის (ფერფლისთვის) განკუთვნილი 1000 $მ^3$ მოცულობის რკინაბეტონის სარკოფაგის მოწყობისა და ექსპლუატაციის ნაწილში უვადოდ;“

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 ქვეპუნქტი:

,,2^1. შპს „სიგმატიქსმა“ უზრუნველყოს ნაცრისთვის (ფერფლისთვის) განკუთვნილი 1000 $მ^3$ მოცულობის რკინაბეტონის სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით და გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად;“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,3. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა გარდა ამ ბრძანების პირველი, მეორე და 2^1 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 ოქტომბრის №2-812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №2-789;

3. ბრძანება გაეგზავნოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“ და შპს „სიგმატიქსს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალისა“ და შპს „სიგმატიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი